საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 31 იანვარი, 2024 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/18

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტის „სამუსიკო შემსრულებლობის (ფორტეპიანო, აკადემიური სიმღერა, აკადემიური გუნდის დირიჟორობა, საორკესტრო)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა ახალაკრედიტებულ „სამუსიკო ხელოვნების (ფორტეპიანო; სიმებიანი/ჩასაბერი საკრავები; ვოკალი; საგუნდო დირიჟორობა)“ საბაკალავრო სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გადაყვანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის, სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესის 2^1 მუხლის მე-20 და 20^1 პუნქტების, 4^1 მუხლის, „სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „სამუსიკო ხელოვნების (ფორტეპიანო; სიმებიანი/ჩასაბერი საკრავები; ვოკალი; საგუნდო დირიჟორობა)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 27 დეკემბრის MES 1 23 0001772815 გადაწყვეტილების საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. 2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის „სამუსიკო შემსრულებლობის (ფორტეპიანო, აკადემიური სიმღერა, აკადემიური გუნდის დირიჟორობა, საორკესტრო)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები, თავსებადობის დასკვნის საფუძველზე, გადაყვანილ იქნან ახალაკრედიტებულ „სამუსიკო ხელოვნების (ფორტეპიანო; სიმებიანი/ჩასაბერი საკრავები; ვოკალი; საგუნდო დირიჟორობა)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2. დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტებს უფლება მიეცეთ სწავლა გააგრძელონ და პროგრამა დაასრულონ არსებული სასწავლო სტრუქტურით (მოდიფიცირების გარეშე).

3. 2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის მუსიკის ფაკულტეტის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს პირველი, მეორე და მესამე სასწავლო წლის სტუდენტების მიერ ათვისებული სასწავლო კურსების (კრედიტების) ახალაკრედიტებულ „სამუსიკო ხელოვნების (ფორტეპიანო; სიმებიანი/ჩასაბერი

საკრავები; ვოკალი; საგუნდო დირიჟორობა)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობის დასკვნების შედგენა.

4. მოდიფიცირებული სასწავლო სტრუქტურისა და სტუდენტისათვის აღიარებული კრედიტების შესაბამისად დამატებითი სასწავლო კურსების გავლის აუცილებლობის წარმოქმნის შემთხვევაში, სტუდენტების ინტერესებიდან გამომდინარე, მოხდეს დამატებითი სწავლის საფასურის გადახდის გარეშე სტუდენტთათვის სასწავლო კურსების გავლის უფლების მინიჭება.

5. წინამდებარე დადგენილების გათვალისწინებით გამოიცეს ბხსუ-ს რექტორის შესაბამისი სამართლებრივი აქტი.

6. დადგენილების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს რექტორის მოადგილემ ი. ხალვაშმა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ქ.ვაჩეიშვილმა.

7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. № 30).

8. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **თ. კეჟერაძე**